


„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული
სამსახური”

„State Hydrographic Service of Georgia”



საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური



მეზღვაურთა უწყებანი

უწყება №

2

გამოშვება №03

თარიღი: 5 მარტი 2013წ.

საზღვაო რუკები და სახელმძღვანელოები უნდა იქნეს შესწორებული მეზღვაურთა უწყებების მიხედვით.

მეზღვაურთა უწყებანი ქვეყნდება როგორც ცალკეული გამოცემა და ყოველ გამოცემას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი. ნუმერაცია ნარჩუნდება მუდმივად, მთლიანი კალენდრული წლის განმავლობაში.

მეზღვაურთა უწყებანის გამოცემის მიზანია: დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მეზღვაურებს მომხდარ ცვლილებებზე: როგორც სანავიგაციო ვითარებით ასევე ნაოსნობის რეჟიმში.

საზღვაო რუკებისა და ლოცის განახლებისთვის საჭიროა მეზღვაურები ინფორმირებულნი იყვნენ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, შემდეგში;

- I. ახალი აღმოჩენილი დაბრკოლებები როგორცაა: მარჩხოები, მენჩი, კლდეები, ქეები და ასევე ვულკანური წარმონაქმნები.
 - II. ნებისმიერი ცვლილებები რუკებსა თუ სანავიგაციო სახელმძღვანელოებში.
 - III. აუცილებელი ინფორმაცია თვალსაჩინო ნიშნებისა და ობიექტების რუკებზე დასატანად და სხვა ინფორმაცია, რომელიც გაამარტივებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფას.
- მონაცემები და ადგილ მდებარეობა დაბრკოლებების შესახებ, რაც შეიძლება ზუსტად არის წარმოდგენილი. პუბლიკაციებზე წარგზავნისას მითითებულია პუბლიკაციის ნომერი და გამოშვების წელი. რუკებზე გეოგრაფიული კოორდინატებით წარგზავნისას მითითებულია რუკის ნომერი და გამოცემის წელი.

ინფორმაცია მეზღვაურთათვის

მეზღვაურთა უწყებებში ობიექტების ადგილმდებარეობა მოცემულია გეოგრაფიულ და პოლარულ კოორდინატებში, გრძედები მოყვანილია გრინვიჩიდან. მოყვანილი კოორდინატები შეესაბამება მსხვილმასშტაბიანი რუკების კორექტირებას. რეკომენდირებული ვზების თუ კვეთების მიმართულებები ორმხრივია: პირველი ზღვის მხრიდან (პირველი კვეთის ნიშნიდან კვეთის ბოლო ნიშნამდე), მეორე ზღვის ნაპირიდან. განათების მიმართულების სექტორი მოცემულია გრადუსებში, საათის ისრის მიმართულებით. სიმაღლეები მოცემულია მეტრებში.

ბუნებრივ ობიექტთა სიმაღლეები (როგორცაა: მთები, ვორაკები, ბორცვები, კლდეები და სხვა) და აგრეთვე მაშუქების სიმაღლეები, რომლებიც ატარებს სანავიგაციო დატვირთვას ათვლილია ზღვის დონიდან, რომელიც ასევე განსაზღვრავს რუკაზე მოცემულ სიმაღლეებს. ნაგებობათა სიმაღლეები მოცემულია საძირკველიდან. თუ ნაგებობათა სიმაღლეები მოცემულია ზღვის დონიდან ეს არის მითითებული.

მაშუქები, რომლებიც სანავიგაციო მნიშვნელობას ატარებს, მათი ნათების მანძილი განისაზღვრება საზღვაო მილეებში. სიღრმეები განისაზღვრება მეტრებში სიდიდიდან რომლებიც ამ რეგიონში ათვლის წერტილად ითვლება და განისაზღვრება როგორც მოცემული რუკის ნული.

რუკები და პუბლიკაციები გამოიცემა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია-----	1-4
I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი-----	5-6
II. რუკის კორექტურა-----	7
III. სანაეიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში-----	8
IV. სანაეიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა-----	9
V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა-----	10

I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი

ღუშები

№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი
GE104	2				

წიბვი

გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი

II. რუკების კორექტურა

შავი ზღვა, საქართველოს სანაპირო

2. რუკა GE104;

საქართველო, შავი ზღვა

ყუღევის ტერმინალის III-ე წყვილის წითელი ქერქეჭელა, ფსკერდამაღრმავებელი სამუშაოებიდან გამომდინარე დროებით გადაადგილდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით შემდეგ კოორდინატებში:

$\varphi=42^{\circ} 16.810' N$

$\lambda=41^{\circ} 37.650' E$ სიღრმე: 8 მეტრი.

III. სანავიგაციო მგზომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა

V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა